



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგალობლიშვილი ირაკლი სერგოს ძე

მგალობლიშვილი ირაკლი სერგოს ძე (31. I. 1915, ქუთაისი, - 14. XII. 1997, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1969), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), საქართვე. სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).

1937 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) I სამედ. ინ-ტი; 1937-40 იყო ყაზახეთის ქ. ჯეზყაზღანის საავადმყოფოს ქირურგი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1947-50 ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის ქირურგიის კათედრაზე აკად. ნ. პეტროვის ხელმძღვანელობით იკვლევდა ფილტვის ქირურგიის საფუძვლებს. 1963-65 იყო ლენინგრადის სამხ. ოლქის მთ. ქირურგი, 1965-71 - ორჯონიკიძის სახ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, 1971-76 - თავდაპირველად თსსი-ის სამკურნ. ფაკ-ტის საფაკულტეტო, შემდეგ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი 1976-79 - იქვე თავისივე დაარსებული ონკოლოგიის კათედრის გამგე, 1980-85 - ჰოსპიტ. ქირურგიის კათედრის გამგე, 1971-77 - საქართვე. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ქირურგი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, სადაც განხილულია ძვლის სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოების ქირურგ. საკითხები და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
